| „დინამო" | «ДИНАМО» |
|---|---|
| № ოთარ გაბელია | № Отар Габелия |
| № ახრიკ ცვეიბა | № Ахрик Цвейба |
| № ალექსანდრე ჩივაძე | № Александр Чивадзе |
| № სოსო ჭედია | № Сосо Чедия |
| № მალხაზ არზიანი | № Малхаз Арзиани |
| № ზაურ სვანაძე | № Заур Сванадзе |
| № ნუკრი კაკილაშვილი | № Нукри Какилашвили |
| № თენგიზ სულაქველიძე | № Тенгиз Сулаквелидзе |
| № ოთარ კორღალიძე | № Отар Коргалидзе |
| № გია გურული | № Гия Гурули |
| № რამაზ შენგელია | № Рамаз Шенгелия |
| № თეიმურაზ ქეცბაია | № Теймураз Кецбая |
| № მამუკა ფანცულაია | № Мамука Панцулая |
| № ზაზა რევიშვილი | № Заза Ревишвили |
| № გურამ აჯოევი | № Гурам Аджоев |
| № გელა კეტაშვილი | № Гела Кеташвили |

გუნდის კაპიტანი ა. ჩივაძე — Капитан команды А. Чивадзе

უფრ. მწვრთნელი გ. ზონინი — Ст. тренер Г. Зонин

| „ვიქტორია" | «ВИКТОРИЯ» |
|---|---|
| № იონელ როტერესკუ | № Ионел Ротэреску |
| № პეტრიკე კომენესკუ | № Петрике Комэнеску |
| № დან ტოპოლინსკი | № Дан Тополински |
| № იონელ აუგუსტინი | № Ионел Аугустин |
| № ემილ ურსუ | № Эмил Урсу |
| № კორნელ მირეა | № Корнел Миреа |
| № კლაუდიუ ვაიშკოვიჩი | № Клаудиу Вайшкович |
| № ვიქტორ კოჟოკარუ | № Виктор Кожокару |
| № ვასილე კასულიაკი | № Василе Касуляк |
| № ვიქტორ ენე | № Виктор Ене |
| № სორინ ხენზელი | № Сорин Хензел |
| № ნიკოლაე ნუცე | № Николае Нуце |
| № პომპიდიუ იორდაკე | № Помпидиу Иордаке |
| № კორნელ ცელნარი | № Корнел Целнар |
| № იოან ზარე | № Иоан Заре |
| № გეორგე ნიცუ | № Георге Ницу |

გუნდის კაპიტანი კ. მირეა — Капитан команды К. МИРЕА

უფრ. მწვრთნელი დ. ნიკოლაე-ნიკუშორი — Ст. тр. Д. НИКОЛАЕ-НИКУШОР

Пресс-центр Тбилисского стадиона «Динамо» имени В. И. Ленина

Составитель О. НОЗАДЗЕ

Техредактор А. Дарахвелидзе    Выпускающий А. Самхарадзе

№20(244)    ფასი 28 კაპ.

შეკვ. 2577    ტირაჟი 10.000    უე. 00497

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14




"DINAMO" TBILISI

«დინამო» თბილისი

«ДИНАМО» ТБИЛИСИ

19 00

4 11

1987

"VICTORIA" BUCURESTI

„ვიქტორია" ბუქარესტი

«ВИКТОРИЯ» БУХАРЕСТ

SALUT SPORTIVILOR DIN R. S. ROMANIA FOTBALISTII CLUBULUI DIN BUCURESTI »VICTORIA«!

სალამი რუმინელ სპორტსმენებს — ბუქარესტის „ვიქტორიას“ კლუბის ფეხბურთელებს!

# КУБОК УЕФА

1/16 финала. Первый тур

«Спартак» (Москва) — «Вердер» (Бремен, ФРГ — 4:1
«Барселона» (Испания) — «Динамо» (Москва) — 2:0
«Виктория» (Бухарест, Румыния) — «Динамо» (Тбилиси) — 1:2
«Данди Юнайтед» (Шотландия) — «Витковице» (Чехословакия) — 1:2
«Брёндбю» (Дания) — «Спортул» (Румыния) — 3:0
«Интер» (Италия) — «Турун Паллосеура» (Финляндия) — 0:1
«Гимараэш» (Португалия) — «Беверен» (Бельгия) — 1:0
«Милан» (Италия) — «Эспаньол» (Испания) — 0:2
«Висмут» (ГДР) — «Флямуртари» (Албания) — 1:0
«Абердин» (Шотландия) — «Фейеноорд» (Голландия) — 2:1
«Шавиш» (Португалия) — «Гонвед» (Венгрия) — 1:1
«Утрехт» (Голландия) — «Верона» (Италия) — 1:1
«Боруссия» (Дортмунд, ФРГ) — «Вележ» (Югославия) — 2:0
«Тулуза» (Франция) — «Байер» (Леверкузен, ФРГ) — 1:1
«Панатинаикос» (Греция) — «Ювентус» (Италия) — 1:0
«Црвена звезда» (Югославия) — «Брюгге» (Бельгия) — 3:1

**მსაჯები:**
სიმო რუოკინენი,
ესა პალხი,
ტიმო იარვიო
(ყველა — ფინეთი)
**უეფა-ს კომისარი:**
ვოლფგანგ რიდელი
(გდრ)

**СУДЬИ:**
Симо РУОКИНЕН,
Эса ПАЛХИ,
Тимо ЯРВИО
(все — ФИНЛЯНДИЯ)
**КОМИССАР УЕФА:**
Вольфганг Ридель
(ГДР)

# პირველი რაუნდი

„ვიქტორიასა“ და „დინამოს“ პირველი მატჩის პროგრამის რეპროდუქცია.

„ვიქტორია“ — „დინამო“ — 1:2(0:2).
22 ოქტომბერი, ბუქარესტი, „დინამოს“ სტადიონი,
16 ათასი მაყურებელი.

„ვიქტორია“: როსტერესკუ, კომენესკუ, ტოპოლინსკი, აუგუსტინი, ურსუ, მირეა, ვაიშკოვიჩი, კოეოკარუ, კამურიაკი (იორდაკე), ენე, მენზელი (ცელნარი).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ქუდია (ქეცბაია), არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორდალიძე, გურული, შენგელია.

მსაჯები: მ. როისნერი, ვ. მენინგი, გ. აუმი (ყველა — გდრ).

ბურთები გაიტანეს: ქუდიამ (მე-8 წუთზე), შენგელიამ (მე-20 წ.), ვაიშკოვიჩმა (68-ე წ. პენალტით).

**დუმიტრუ ნიკოლაე — ნიკუშორი** (ბუქარესტის „ვიქტორიას“ უფროსი მწვრთნელი):

— თბილისის „დინამო“ საუცხოო სავიზიტო ბარათის მქონე გუნდია. ამბობდნენ, რომ იგი ახლა კარგ სპორტულ ფორმაში არ არისო, მაგრამ ხოფის „ლოკომოტივთან“ მატჩმა გვიჩვენა ქართველ ფეხბურთელთა პოტენციური შესაძლებლობანი. რაც შეეხება ჩვენს პირველ შეხვედრას, დინამოელებმა უკეთ ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც. მატჩის დასაწყისშივე გატანილმა გოლმა ძალიან იმოქმედა ჩვენს გუნდზე, მეორემ კი თითქმის წერტილი დაუსვა ბრძოლას — მატჩის ბედის შემობრუნება უკვე ძნელი იყო. ერთი ბურთის გაქვითვის შემდეგ ინიციატივას „ვიქტორია“ დაეუფლა, მაგრამ დრო აღარ გვეყო. ისე კი ორი-სამი საგოლე მომენტი მაინც გვქონდა-არ გაგვიმართლა, სამწუხაროდ. თბილისელთაგან მიჭირს ვინმეს გამოყოფა, ჩვენს გუნდში კი ამ დღეს სხვებზე უკეთ თამაშობდნენ აუგუსტინი, მირეა და ტოპოლინსკი...

**გერმან ზონინი** (თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი):

— ძნელი მატჩი იყო. დინამოელები უფრო ტექნიკურნი იყვნენ და ბოლომდე იბრძოდნენ თავდაუზოგავად. შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო ოცი წუთი მასპინძლების უპირატესობით მიმდინარეობდა. ასეა თუ ისე, ნაბიჯი მერვედფინალისკენ უკვე გაკეთებულია. არ შეიძლება არ აღვნიშნო ის სასიხარულო ფაქტი, რომ ამჯერად ტრიბუნაზე საკმაოდ ბევრი ქართველი გულშემატკივარი იჯდა, რომელთა აქტიური მხარდაჭერა დიდად დაგვეხმარა წარმატებაში.







ИЗ КОЛ-Ф. "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"




# «ВИКТОРИЯ» И ДРУГИЕ...,

### КОРОТКО О РУМЫНСКОМ ФУТБОЛЕ

ИМЕНА выдающихся румынских атлетов знают многие любители спорта всего мира. Это борцы Николае Мартинэску и Георге Бэрчану, гребец Аурел Вэрнеску, гандболист Георге Груя, гимнастка Надя Комэнечи, легкоатлеты Иоланда Балаш, Лиа Манолиу, Арджентина Мэнис. Однако не менее известна спортивная Румыния и своими футболистами. Вспомним имена замечательных мастеров кожаного мяча. Аползан, Петчовски, Тома, Думитраке, Дину, Джорджеску, братья Ене и Нуивайлеры — каждый из них был отличным футболистом, любимцем болельщиков больших стадионов и, в первую очередь, румынских «микробистов» (так в стране называют любителей футбола).

...Федерация футбола Румынии («Федератия Ромина де футбол») основана в 1909 году. В ФИФА входит с 1930 года. Чемпионаты страны (сезон: август-ноябрь и март-июль) проводятся с 1911 года. Первым чемпионом была бухарестская «Олимпия», а первым обладателем Кубка — «Репензия» Тимишоара (1934 год). Свой первый международный матч сборная Румынии провела 8 июля 1922 года со сборной Югославии, победив со счетом 2:1. Самые популярные команды Румынии — бухарестские клубы «Стяуа» («Звезда»), «Динамо» и «Рапид» — многократные чемпионы и обладатели Кубка страны.

На фоне этих трёх грандов румынского футбола много скромнее выглядит наш сегодняшний соперник-команда бухарестской «Виктории», история которой насчитывает всего 17 лет. Ну а дебют команды в высшей лиге чемпионата страны состоялся и того позже, осенью 1985 года на своём 8-тысячном стадионе. Сезон принёс клубу скромное 12-ое место, хотя специалисты расценивали это успехом для новичка Большого футбола. В прошлом году «Виктория» дерзко замахнулась на более высокое место: в 34 матчах одержала 15 побед, набрала 38 очков (мячи 43—39), заняв почётное третье призовое место после «Стяуа» и «Динамо». «Виктория» получила право впервые выступать в престижном европейском турнире — розыгрыше Кубка УЕФА. Два стартовых матча оказались успешными, хотя соперник был не из сильных — команда ЭПА (Ларнак, Кипр). Румыны победили, как известно, дважды — 1:0 (в гостях) и 3:0 (дома.


VICTORIA BUCUREŞTI 1987



გ. ჯეჯელავას წიგნის ყდის რეპროდუქცია



აი ამ შემადგენლობით ითამაშეს თბილისის დინამოელებმა 1945 წელს რუმინეთში

# ოთხი ათეული წლის წინ...

...შეხვდნენ პირველად ერთმანეთს ქართველი და რუმინელი ფეხბურთელები. 1945 წლის ფეხბურთის სეზონის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა ქვეყნის საუკეთესო გუნდები საზღვარგარეთულ ტურნეში მიავლინა: ჩემპიონი, მოსკოვის „დინამო"-დიდ ბრიტანეთში, მეორე პრიზიორი, ცდკა-იუგოსლავიაში, მესამე პრიზიორი მოსკოვის „ტორპედო" — ბულგარეთში, ხოლო მეოთხე ადგილზე გასული თბილისის „დინამო" — რუმინეთში...

საბედნიეროდ ხელთ გვაქვს თბილისელთა მატჩების მონაწილის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გაიოზ ჯეჯელავას წიგნი „ქართველი ფეხბურთელები ირანსა და რუმინეთში", რომელიც რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ და „სახელგამმა" გამოსცეს 1947 წელს 15-ათასიანი ტირაჟით.

...დინამოელთა დელეგაციას სათავეში ედგა გამოცდილი ფიზკულტურული მუშაკი დიმიტრი სამუშია, უფროსი მწვრთნელი გახლდათ ანდრო ჟორდანია, შემადგენლობაში იყვნენ ფეხბურთელები: მეკარეები სერგო შუდრა და ვალტერ სანაია, მცველები კუკი ფეხლევანიდი, უშანგი ხალდაძე, ბორის ფროლოვი, არჩილ კიკნაძე, ნახევარმცველები მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა, გიორგი ჭეილიძე, ვლადიმერ ჟორბენაძე, თავდამსხმელები გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, ვიქტორ ბერეჟნოი, ვიქტორ პანიუკოვი, თენგიზ გავაშელი, გიორგი ანთაძე, ალან ხარბედია, გიორგი არომიძე.

ქართველმა ფეხბურთელებმა რუმინეთში 3 მატჩი გამართეს. პირველი თამაში 16 დეკემბერს ჩატარდა ბუქარესტის „ანეფის" სტადიონზე რკინიგზელთა გუნდის „ჩფრ"-ის წინააღმდეგ. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში (სუსხიანი ამინდი, სტადიონი თოვლით იყო დაფარული) მატჩი დინამოელებმა მოიგეს — 2:1. მასპინძლებმა შეუქეს თამაში. „ბევრი საზღვარგარეთული გუნდი გვინახავს — წერდნენ ისინი — თითოეულს თავისი კარგი, მისთვის დამახასიათებელი მხარე გააჩნდა, მაგრამ ყოველივე რაც მანამდის გვინახავს, თქვენშია თავმოყრილი: ტექნიკა-უნგრელებისა, ტემპი-იტალიელებისა, ფიზიკური გამძლეობა-ჩეხოსლოვაკიელებისა, ტაქტიკა-ინგლისელებისა". მეორე მატჩი დინამოელებს იუვენტუსთან" ჰქონდათ. ტაიმი დამთავრდა ფრედ (3:3), მატჩი კი — ფეხბურთისთვის ერთობ უჩვეულო ანგარიშით 10:5 თბილისელთა სასარგებლოდ.

ბოლო მატჩი ქალაქ ტიმიშოარაში ადგილობრივ გუნდთან გაიმართა, რომელიც ფაქტიურად რუმინეთის ნაკრებს წარმოადგენდა. მასპინძლები სერიოზულად ფიქრობდნენ გამარჯვებაზე, მაგრამ ...6:0-ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს დინამოელებმა. თამაშის შემდეგ მეტოქის მწვრთნელმა გაკვირვებულმა წარმოთქვა: „აი ეს გუნდია! დღეს მე ვნახე ფეხბურთი, ნამდვილი ევროპული კლასის ფეხბურთზე უკეთესი!" მაშ ასე: სამი შეხვედრის ჯამია 17:6 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. ადგილობრივმა გულშემატკივრებმა, პრესამ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს თბილისელ დინამოელებს, გუნდის კაპიტანს ბორის პაიჭაძეს კი რუმინელმა ჟურნალისტებმა „ფეხბურთის კარუზო" უწოდეს.

# НИНО И ЛИА

СРЕДИ румынских спортсменов особо следует выделить замечательную легкоатлету — дискоболку, кавалера Олимпийского ордена (бронзовый знак) Лну Манолиу, кстати, родившуюся в Кишиневе. Достаточно сказать, что Лна является своеобразным рекордсменом — она шесть раз (!) участвовала в Олимпийских играх — начиная с Хельсинки (1952 год) и кончая Мюнхеном (1972 год). Лма Манолиу, защищавшая спортивные цвета бухарестского клуба «Металул», дважды удостаивалась бронзовой олимпийской медали: в Риме — в 1960 году (52, 36 м) и в Токио — в 1964 году (56, 97 м), а в олимпийском Мехико в 1968 году завоевала золотую медаль чемпионки (58, 28). На этом можно было бы поставить точку, если не одна «деталь»: Лна Манолиу всегда с благодарностью вспоминает свою старшую подругу и главную соперницу — выдающуюся дискоболку современности, восьмикратную чемпионку страны, двукратную чемпионку Европы, бронзового призера Олимпиады в Хельсинки, многократную мировую рекордсменку, заслуженного мастера спорта, тбилисскую динамовку Нину Думбадзе. Не счесть, сколько совместных тренировок провели Думбадзе и Манолиу в нашей стране и в Румынии, не сосчитать, сколько добрых советов дала опытная грузинская легкоатлетка своей молодой (на целых 13 лет) подруге, причем не только очных, но и заочных при помощи столь частых, сколь внушительных своим размером писем. Недаром в семье Думбадзе и ныне хранится фото Манолиу с ее автографом и горячей признательностью «благодарной ученицы — сердечной учительнице».

Надо ли говорить, что так же бережно хранит у себя в Бухарете инжинер—проектировщик Лиа Манолиу фотоснимок её совместной тренировки со старшей подругой с дорогим автографом Нино Думбадзе.

...Кто знает, жил бы в наши дни замечательный ваятель древности Мирон, может вместо своего знаменитого «Дискобола» вылепил бы две фигуры с дисками — двух друзей, румынку Лиу Манолиу и грузинку Нино Думбадзе.



НИНО ДУМБАДЗЕ.

Лиа Манолиу и Нино Думбадзе перед соревнованием на Московском стадионе «Динамо». Справа от них — Нина Пономарёва-Ромашкова.





ЛИА МАНОЛИУ.




## ИНТЕРЕСНО, ЧТО...

...Известный румынский спортсмен, чемпион XV Олимпийских игр в Хельсинки из малокалиберной винтовки Йон Сырбу («Стяуа», Бухарест) установил мировой рекорд по пулевой стрельбе, (упражнение «МВ-9»), выбив 400 очков из 400 возможных. Этот результат можно, конечно, повторить бесчисленное количество раз, но побить его никто никогда не сможет.

...Когда динамовцы Бухареста в 1965 году в четвертый раз завоевали звание чемпиона страны, в их составе выступали 6 братьев Нунвайлер.

РУМЫНСКИЙ ЮМОР



— Будьте добры! Этот тип не хочет освободить моё место...

## კიდევ ორი წიგნი

### გულშემატკივრის თაროზე

ერთი მათგანი გამომცემლობა „სოვეტსკაია როსიამ“ გამოსცა, მეორე — „ფიზკულტურა ი სპორტმა“, ერთი მათგანი 50-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა, მეორე — 20-ათასიანი. ორივე ახლახან მიიღო ფეხბურთის მოყვარულებმა...

„მატჩის შემდეგ“ — ასე უწოდა თავის ახალ წიგნს ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა ლევ ფილატოვმა, 17 წლის მანძილზე რომ რედაქტორობდა ყოველკვირეულ „ფუტბოლ — ხოკეის“. ნაშრომებში თავმოყრილია ნარკვევები, რომლებიც 1977—1986 წლების საფეხბურთო მოვლენებს ასახავს. ამ ათეული წლის განმავლობაში მრავალი მატჩი და ტურნირი გაიმართა ,რომელთა უშუალო მოწმე წიგნის ავტორი იყო.

მეორე წიგნის სახელწოდებაა „მეხიკო — 86: მოვლენები და განსჯა“. ეს არის მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური მასალების კრებული, რომლის ავტორები არიან სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი, ნაკრების ექიმი საველი მიშალოვი, სპორტული ჟურნალისტები ლევ ლებედევი, გენადი რადჩუკი, ალექსანდრ გორბუნოვი. მკითხველი აქ შეხვდება საინტერესო ფაქტებს ფეხბურთის წამყვან გუნდებზე, ჩვენი ქვეყნის ნაკრებზე, მწვრთნელებზე, ფეხბურთელებზე. წიგნის (მისი ავტორ-შემდგენელია ა. გორბუნოვი, რეცენზენტი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ ვერემეევი) წინასიტყვაობაში „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ პონედელნიკი წერს: „ამ წიგნის წაკითხვისას თითქოს დავბრუნდი 1986 წლის ივნისის ცხელ მექსიკურ ატმოსფეროში, როდესაც ტურნირზე აკრედიტებული ჟურნალისტის როლში უშუალოდ მომიხდა პირველობის მატჩების ხილვა. მაღალი ტემპერატურა აღნიშნეს თერმომეტრებმაც და ფეხბურთის მოყვარულთა მრავალათასიანმა რაზმებმა, რომლებიც თვალს ადევნებდნენ ოცდაოთხი ნაკრების უკომპრომისო ბრძოლას“.

წიგნს ამდიდრებს 27 თანდართული ფერადი თუ შავ-თეთრი ფოტოილუსტრაცია, რომლებზეც აღბეჭდილია მარადონას, სოკრატესის, ხ. სანჩესისა და სხვათა თამაშის მომენტები.





### ვულოცავთ ბედნიერი ბილეთების მფლობელებს!

დოსააფის ლატარიის 1987 წლის პირველი გამოშვების ტირაჟის ბედნიერმა ბილეთებმა უკვე იპოვეს მფლობელები:

ავტომანქანა „ვოლგა გაზ-24“-ის საჭეს უზის თბილისელი, ყვარლელი, გურჯაანელი, ბათუმელი.

რვა „ჟიგული-2108“ ხვდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, ტყიბულის, ბოგდანოვკისა და მახარაძის მცხოვრებთ.

თითო-თითო „ზაპოროჟეცი-968“ გაინაწილეს თბილისელმა, ჭიათურელმა, გორელმა და ზესტაფონელმა მშრომელებმა.

28 სხვადასხვა მარკის მოტოციკლეტი ასე განაწილდა: 8 მოგება აჭარაში, 7 — თბილისში, 2 — ზუგდიდში, თითო-თითო — აფხაზეთში, აბაშაში, ბოლნისში, გურჯაანში, სიღნაღში, წალკაში, ცხაკაიაში, ჩხოროწყუში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყიბულში, წყალტუბოში.

სულ პირველ ტირაჟში გაიცა ნახევარ მილიონ 192 ათასი მანეთის მოგება.

ყურადღება! დოსააფის 1987 წლის მე-11 გამოშვების ტირაჟი შედგება ამა წლის 19 დეკემბერს ქ. დუშეთში.

ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება პირველად ორგანიზაციებში.

**დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი.**

**საქართველოს სარეკლამო სააგენტო**